



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/168

„ 19 „ ოქტომბერი 2015 წ.

გ ა ლ ა ნ ყ ვ ე ბ ი ლ ე ბ ა

მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის დანიშვნის შესახებ

„მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესისა და საკვალიფიკაციო საგამოცდო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 25 სექტემბრის №1/207-2007 გადაწყვეტილებით დამტკიცებული მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესის მე-4 მუხლის პირველი პუნქტისა და მე-5 მუხლის საფუძველზე:

1. მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის პირველი ეტაპი (ტესტური გამოცდა) ჩატარდეს 2015 წლის 21 ნოემბერს, მეორე ეტაპი (წერიტი გამოცდა) – 2015 წლის 28 ნოემბერს.

2. მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა ჩატარდეს საერთო და სპეციალიზაციის მიხედვით.

3. საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაშვების მიზნით კანდიდატთა რეგისტრაცია განხორციელდეს 2015 წლის 2 ნოემბრიდან 17 ნოემბრის ჩათვლით.

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატმა უზრუნველყოს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარებისათვის აუცილებელი საორგანიზაციო საკითხების გადაწყვეტა და გამოცდის შედეგების იუსტიციის უმაღლესი საბჭოსათვის გაცნობა.

ლევან მურუსიძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი